სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N260749430
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	08.06.2026 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ეკატერინე ძულიაშვილი
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, დიღმის მას. III კვარტალი, კორპ. 7, ბინა 1ა
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	599589966
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	83050215262226

დღეს, ორიათას ოცდაექვსი წლის რვა ივნისს, მე საქართველოს ნოტარიუსს ეკატერინე ძულიაშვილს, სანოტარო ბიუროში, მდებარე: ქ. თბილისი, დიღმის მას. III კვარტ. კორპ. 7 ბინა 1ა-ში, მომმართა მოქალაქე რუსუდან ჭაღალიძემ, რომელმაც წარმოადგინა შეთანხმება და ითხოვა შეთანხმებაზე მისი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება.
მე დავადგინე მისი პირადობა წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ სანოტარო ბიუროში ნამდვილად რუსუდან ჭაღალიძემ /დაბ. 29.09.1982 წელს, მის. ბათუმი, ექვთიმე თაყაიშვილის ქუჩა, N 56, პ# 61004015542/ მომმართა.
შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მაქვს.
ხელმომწერს განვუმარტე, რომ ნოტარიუსი არ ადასტურებს წინამდებარე შეთანხმების შინაარსს და მასში მოყვანილი ფაქტების ნამდვილობას და შესაბამისად პასუხს არ აგებს მასზე. ნოტარიუსს არ ეკისრება პასუხისმგებლობა კერძო აქტის კანონმდებლობასთან შეუსაბამობის ან წინამდებარე აქტში ხელმომწერის ნების არაადეკვატურად ასახვის გამო, რის შემდეგაც მან ჩემი თანდასწრებით ხელი მოაწერა წარმოდგენილ შეთანხმებას, რასაც ვამოწმებ.
გადახდილია საზღაური სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის 12.00 ლარი თანახმად "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის # 507 დადგენილების 31 მუხლისა + დღგ 2.16 ლარი თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166 მუხლისა + სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური 5.00 ლარი თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის # 507 დადგენილების 39 მუხლისა, სულ გადახდილია 19.16 ლარი.

ნოტარიუსი _____ /ეკატერინე ძულიაშვილი/

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge
შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18



შეთანხმება

ქ. თბილისი 08 ივნისი 2026 წ.

ერთის მხრივ შპს ემი (ს/ნ 412715021), წარმოდგენილი მისი დირექტორის რუსუდან ჭაღალიძის სახით

მეორეს მხრივ რუსუდან ჭაღალიძე (პ/ნ 61004015542)

ვადასტურებთ შემდეგ გარემოებებს -

1. ვინაიდან შპს „ემი“-ს და რუსუდან ჭაღალიძეს საკუთრებაში აქვთ კომერციული ფართები ქ. თბილისში, დიღმის მასივი, III კვარტალი, კორპუსი 1გ-ში მდებარე მრავალფუქნციურ საცხოვრებელი სახლის 0,000 ნიშნულზე;
2. ვინაიდან რუსუდან ჭაღლიძის საკუთრებაში არსებულ 298,5 კვ.მ კომერციულ ფართს საკადასტრო კოდით # 01.13.03.043.007.01.02.018 არ აქვს დამოუკიდებელი გასასვლელი შენობის გარე სივრცესთან;
3. ვინაიდან, შპს „ემი“-ს საკუთრებაში არსებული 95,4 კვ.მ კომერციული ფართი საკადასტრო კოდით # 01.13.03.043.007.01.02.001, ემიჯნება რუსუდან ჭაღალიძის საკთრებაში არსებულ ფართს საკადასტრო კოდით #01.13.03.043.007.01.02.018;
4. ვინაიდან საცხოვრებელი კორპუსის პროექტის კორექტირებისას ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურის მიერ და დადგენილ იქნა ხარვეზი, იმის თაობაზე, რომ ყველა კომერციულ ფართს უნდა გააჩნდეს გასასვლელი გარე სივრცეში;

არქიტექტურის სამსახურის აღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით, წინამდებარე შეთანხმებაზე ხელმომწერი მხარეები ვაცხადებთ თანხმობას და ვთანხმდებით შემდეგზე:

1. რუსუდან ჭაღალიძე აცხადებს თანხმობას გადასცეს შპს „ემი“-ს საკუთრებაში კომერციული ფართი საკადასტო კოდით #01.13.03.043.007.01.02.018.
2. შპს „ემი“ აცხადებს თანხმობას მიიღოს საკუთრებაში რუსუდან ჭაღალიძისაგან კომერციული ფართი საკადასტრო კოდით #01.13.03.043.007.01.02.018
3. შპს „ემი“ აცხადებს თანხმობას პროექტის კორექტირებულ ვერსიაში მოხდეს ორი კომერციული ფართის გაერთიანება ერთ ფართად. კერძოდ, რუსუდან ჭაღალიძისაგან საკუთრებაში მიღებული ფართი საკადასტრო კოდით #01.13.03.043.007.01.02.018 გაუერთიანდეს შპს „ემი“-ს საკუთრებაში არსებულ ფართს საკადასტრო კოდით #01.13.03.043.007.01.02.001.
4. მხარეები აცხადებენ თანხმობას და მზადყოფნას მასზედ, რომ ფართების გაერთიანების ამსახველი პროექტის დამტკიცებისთანავე გააფორმებენ შესაბამის ხელშეკრულებას და განახორციელებენ ამ ხელშეკრულების საჯარო რეესტრში რეგისტრაციას გაერთიანებულ ფართზე შპს „ემი“-ს საკუთრების უფლების წარმოშობისათვის.

შპს ემი (ს/ნ412715021) დირექტორი რუსუდან ჭაღალიძე

რუსუდან ჭაღალიძე (პ/ნ 61004015542)



საქართველოს ბანკი

29 მაისი 2026

სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
არქიტექტურის სამსახურს 202

№ 00267023

სს „საქართველოს ბანკის“
პრობლემური კორპორაციული, მცირე და საშუალო სესხების მართვის
დეპარტამენტის დირექტორის
კახა კენკიშვილის

თ ა ნ ხ მ ო ბ ა

სს „საქართველოს ბანკი“ (ს/ნ: 204378869) (შემდგომში - **ბანკი**) როგორც იპოთეკარი თანახმაა, უძრავ ნივთზე, მდებარე: ქალაქ თბილისში, დიღმის მასივი, III კვარტალი, კორპუსი 1გ (ს/კ: №01.13.03.043.007.01.02.018, №01.13.03.043.007.01.02.001, №01.13.03.043.007.01.02.007; №01.13.03.043.007.01.02.008; №01.13.03.043.007.01.02.004; №01.13.03.043.007.01.02.005; №01.13.03.043.007.01.02.006; №01.13.03.043.007.01.02.003; №01.13.03.043.007.01.02.002) (შემდგომში - **იპოთეკის საგნები**), სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ შეთანხმდეს კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცეს მშენებლობის ნებართვა იმ პირობებით რომ:

1. №01.13.03.043.007.01.02.007; №01.13.03.043.007.01.02.008; №01.13.03.043.007.01.02.004; №01.13.03.043.007.01.02.005; №01.13.03.043.007.01.02.006; №01.13.03.043.007.01.02.003; №01.13.03.043.007.01.02.002 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ კომერციულ ფართებს ჰქონდეთ დამოუკიდებელი შესასვლელ-გასასვლელი;

2. №01.13.03.043.007.01.02.018 და №01.13.03.043.007.01.02.001 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული კომერციული ფართები გაერთიანდეს ერთ საკადასტრო ერთეულად (ჯამური ფართობით - 393.9 კვ.მ.) და ჰქონდეს დამოუკიდებელი შესასვლელ-გასასვლელი;

3. კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შედეგად მიღებული **იპოთეკის საგნების** ჯამური ფართობი არ უნდა იყოს დღევანდელი მდგომარეობით რეგისტრირებულ ოდენობაზე ნაკლები. ამასთან, **ბანკის** იპოთეკის უფლება უნდა გავრცელდეს კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და შესაბამისი ცვლილებების შედეგად წარმოშობილ/რეგისტრირებულ ყველა ფართზე/ფართობზე.

პატივისცემით,

კახა კენკიშვილი პ/ნ 20001011079

სს „საქართველოს ბანკი“
ს/ნ 204378869
გაგარინის ქ. №29ა
თბილისი 0160, საქართველო
(032) 2 444 444
www.bankofgeorgia.ge

თანხმობა

შპს „ჯი ბი ჯი“ (ს/ნ:400157897; დირექტორი გიორგი სულაბერიძე პ/ნ:01024034965) და ფ/პ გიორგი სულაბერიძე (პ/ნ:01024034965) ვაცხადებთ თანხმობას მასზედ, რომ ქალაქი თბილისი, დიღმის მასივი, III კვარტალი, კორპუსი 1გ-ში, შენობის +3,300 ნიშნულზე მდებარე №10 კომერციულ ფართს (01.13.03.043.007.01.02.010; 105,2 კვ.მ; მესაკუთრე გიორგი სულაბერიძე პ/ნ:01024034965) შესასვლელი ჰქონდეს შპს „ჯი ბი ჯი“-ს საკუთრებაში არსებული №9 (01.13.03.043.007.01.02.009; 138,7 კვ.მ) ფართიდან.

ასევე, შპს „ჯი ბი ჯი“ (ს/ნ:400157897) თანახმაა, ამავე სართულზე მდებარე, შპს „ჯი ბი ჯი“-ს საკუთრებაში არსებული კომერციული ფართები (01.13.03.043.007.01.02.009; 01.13.03.043.007.01.02.013 და 01.13.03.043.007.01.02.019) სადარბაზოსთან დასაკავშირებლად სარგებლობდნენ ერთმანეთის ტერიტორიით.

გიორგი სულაბერიძე

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N260406318
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	31.03.2026 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	დარეჯან ახალბედაშვილი
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ.თბილისი, ქუჩა მტკვარი, #6, სართული 1.
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	591706628
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	34412078772426

მე, ნოტარიუსი დარეჯან ახალბედაშვილი , სანოტარო ბიუროში, მდებარე: ქ. თბილისი, ქუჩა მტკვარი, #6, სართული 1. ვამოწმებ წარმოდგენილ დოკუმენტზე გიორგი სულაბერიძის (დაბ. 29.06.1984წ. თბილისი, პირადი # 01024034965), ხელმოწერის სინამდვილეს, რომელიც შესრულებულია ჩემი თანდასწრებით. ხელისმომწერს განემარტა, რომ ნოტარიუსი არ ადასტურებს წარმოდგენილ დოკუმენტში მოყვანილი ფაქტების ნამდვილობას და შესაბამისად პასუხს არ აგებს მასზე. დოკუმენტზე ხელისმომწერის პირადობა დადგენილია, ქმედუნარიანობა და ნების გამოხატვის ნამდვილობა შემოწმებულია. გადახდილია საზღაური თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილებისა "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" 2011 წლის 29 დეკემბერი დადგენილება #507, - სულ: 33,32 ლარი, მათ შორის: მ. 31.3. – 24,00 ლ. დღგ.4,32 ლ. + მ. 39.1. 5, 00. ლ

ნოტარიუსი

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: **www.notary.ge** ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: **+995(32) 2 66 19 18**

ბაზისბანკი

+995 322 922 922
info@basisbank.ge
www.basisbank.ge

საქართველო, თბილისი,
წმ. ქეთევან დედოფლის გამზ. 1
1, St. Queen Ketevan Ave.,
Tbilisi, Georgia

№ა30.03/01

30 მარტი 2026 წელი

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
არქიტექტურის სამსახურს

სს „ბაზისბანკის“ სასარგებლოდ იპოთეკის უფლებით არის დატვირთული უძრავი ნივთი, რომლის სარეგისტრაციო მახასიათებლებია, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 01.13.03.043.007.

წინამდებარე თანხმობის წერილით სს „ბაზის ბანკი“ გამოთქვამს თანხმობას მასზედ, რომ ზემოთ მითითებულ უძრავ ნივთზე შეთანხმდეს კორექტირებული პროექტი და განხორციელდეს მშენებლობა სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში AR11109686 წარდგენილი საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისად, იმ პირობით, რომ ცვლილების შემდგომ დარეგისტრირებულ უძრავ ნივთზე/ნივთებზე (შენობა-ნაგებობაზე) სს „ბაზისბანკის“ რეგისტრირებული იპოთეკის უფლება გავრცელდება სრულად.

პატივისცემით,

დავით ცაავა
გენერალური დირექტორი

სს ბაზისბანკი . JSC BASISBANK
ბაზისბანკი BASISBANK
203841833

შემსრულებელი: თეო მძინარიშვილი